

შპს მეტრიქს კონსტრაქშენი
METRIX CONSTRUCTION LLC

კონსტრუქციების საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება

ს.კ. 01.19.26.004.277

დამკვეთი: შპს "რ.ს.ე.დ" ID ნომერი - 406257633

2020 წელი

საექსპერტო დასკვნა

5.11.2020

იურიდიული პირის შპს "რ.ს.ე.დ" (ID ნომერი 406257633) თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლებაში (ს/კ 01.19.26.004.277) ერთ სართულიანი სასაწყობე ტიპის შენობისა და დამხმარე შენობის კონსტრუქციული პროექტზე (რომელიც მოიცავს არქიტექტურულ ნახაზებზე დამუშავებულ კონსტრუქციულ მუშა ნახაზებს) ჩაგვეტარებინა ექსპერტიზა.

პროექტის მიხედვით დაგეგმარებულია ერთ სართულიანი სასაწყობე ტიპის შენობისა და დამხმარე შენობის მშენებლობა. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას დაგეგმარებული კონსტრუქციული ელემენტების განლაგებისა და საანგარიშო სქემის მართებულობა პროექტში მოცემული კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით, შესაბამისად გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

პირველ რიგში შესწავლილი იქნა შპს "კირკიტაძე და კომპანია"-ს ინჟინერ-გეოლოგების მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია კვლევაში. წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით ნიადაგის ფენის შემდგომ გვხდება თიხა ნახევრადმყარი, კენჭოვან, ღორღოვან, ხრეშოვან, ხვინჭოვანი მარცვლებით - ფენა 2, რომლის სიმტკიცის კოეფიციენტი (R_0-2.80 კგ.ძ/სმ2) მოცემულ პროექტთან მიმართებაში მისაღები და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებულია. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები შესრულებულია ჯეროვნად.

აღნიშნულ პროექტზე ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, სადაც შესწავლილ იქნა ყველა ის კონსტრუქციული მახასიათებლებები და საანგარიშო სქემა, რაც მოიცავს შენობების მნიშვნელოვან მზიდუნარიან დეტალებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობების სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სასაწყობე შენობა

1. საძირკველი. შენობების საძირკველი რკინაბეტონის ლენტური წერტილოვანია გაგანიერებით, რომლის ჩაღრმავება +0.00 ნიშნულიდან -2.20 მეტრია, რომელიც გეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასულია ფენა #2-ზე. წერტილოვანი საძირკვლის გაბარიტული ზომებია 3.0 X 2.0 X 0.6(H) მ. და 2.0 X 2.0 X 0.6(H) მ. მასში არმირებისათვის გამოყენებულია 2 ფენა ბადე ქსოვით არმატურა დიამეტრით 12 და 16 მმ. (არმ. კლასი A500ც); ბეტონის მომზადება კლასი- B7.5 და ბეტონი კლასი- B25. წერტილოვანი საძირკველი ერთმანეთთან კავშირშია რკინაბეტონის ლენტური კოჭებით, კოჭის გაბარიტული ზომებია 0.4 X 0.6 და 1.0 X 0.6 მეტრი. მასში შესაბამისად გამოყენებულია 14 მმ. დიამეტრის 8 და 10 ღერი არმატურა (არმ. კლასი A500ც), საძირკველში გამოყენებულია ბეტონის მომზადება კლასი- B7.5 და ბეტონი კლასი- B25. წყალშეუღწევადობით W8 წარმოდგენილი საძირკველი გეგმარების მიხედვით შეადგენს ერთ დონეზე და კვეთზე გათვლილ კონსტრუქციულ სქემას, რაც განპირობებულია საპროექტო გეომეტრიული ფორმებისა და პარამეტრების მიხედვით. შესწავლის საფუძველზე დადგინდა: საძირკვლების გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.
შესაბამისად საძირკვლის კონსტრუქციული გეგმარება და საანგარიშო სქემა თავისი მუშა არმირებითა და ბეტონით წარმოდგენილ რელიეფზე ნაწარმოებია მართებულად.

2. სვეტები (ტუმბოები) - ტუმბოები მონოლითური რკინაბეტონისაა, გაბარიტული ზომებია - 0.5 X 0.5 (მ.), სიმაღლით 1.6 და 2.6 (მ.) მასში არმირებისათვის გამოყენებულია 18 მმ. დიამეტრის 8 ღერი არმატურა, (არმ. კლასი A500ც), ბეტონი კლასი- B25. შესწავლის საფუძველზე დადგინდა: მონოლითური რკინაბეტონის ტუმბოების გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

3. იატაკის ფილა - იატაკის ფილა რკინაბეტონის მონოლითურია. ბეტონის სისქე 15 სანტიმეტრია, მასში არმირებისათვის გამოყენებულია 1 ფენა ბადე-ქსოვით არმატურა დიამეტრით - 12 მმ. (არმ. კლასი A500ც), ბეტონი კლასი- B25. შესწავლის საფუძველზე დადგინდა: მონოლითური რკინაბეტონის ფილის გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში

წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

4. შენობის კარკასი - შენობების კარკასი ლითონკონსტრუქციებია. სვეტებად გამოყენებულია ლითონის მილკვადრატები, ზომით - 250 X 250 X 8 და 200 X 200 X 5 მმ. ლითონის სვეტებს შორის ჯვარედინა სიხისტეებისთვის ასევე გამოყენებულია ლითონის მილკვადრატები, ზომით - 80 X 80 X 4 მმ. ლითონის კლასი - C235. სვეტები ტუმბოებთან დამაგრებულია ლითონის ანკერებით. ანკერების საბაზისო ლითონის ფურცლების გაბარიტული ზომებია 500 X 500 X 20 მმ. ანკერებისა და ჩასატანებელი დეტალებისათვის მასალად გამოყენებულია ფურცლოვანი და ზოლოვანი ლითონი გოსტი 380-71; 106-57 მიხედვით. შენობის კარკასის გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

4. სახურავი - სახურავი ლითონის წამწეებითაა მოწყობილი. წამწეებისთვის ასევე გამოყენებულია ლითონის მილკვადრატები. ზედა და ქვედა სარტყელისთვის 120 X 120 X 4 მმ. ირიბანასთვის - 80 X 80 X 4 მმ და დგარებისთვის - 80 X 80 X 5 მმ. ლითონის კლასი - C235. სახურავზე წამწეებს შორის ვერტიკალური კავშირებისთვის გამოყენებულია ლითონის მილკვადრატები - 80 X 80 X 4 მმ. სახურავის ჯვარედინა სიხისტეები ასევე გამოყენებულია ლითონის მილკვადრატები - 100 X 100 X 5 მმ. კლასი - C235.

სახურავის გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

დამხმარე შენობა

5. საძირკველი. შენობების საძირკველი რკინაბეტონის ლენტური წერტილოვანია გაგანიერებით, რომლის ჩაღრმავება +0.00 ნიშნულიდან -2.20 მეტრია, რომელიც გეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასულია ფენა #2-ზე. წერტილოვანი საძირკვლის გაბარიტული ზომებია 1.0 X 1.0 X 0.6(H) მ. და 1.5 X 1.5 X 0.6(H) მ. მასში არმირებისათვის გამოყენებულია 2 ფენა ბადე ქსოვით არმატურა დიამეტრით 12 და 16 მმ. (არმ. კლასი A500ც); ბეტონის მომზადება კლასი- B7.5 და ბეტონი კლასი- B25. წერტილოვანი საძირკველი ერთმანეთთან კავშირშია რკინაბეტონის ლენტური კოჭებით, კოჭის გაბარიტული ზომებია 0.4 X 0.6 მეტრი. მასში გამოყენებულია 14 მმ. დიამეტრის 8 ღერი არმატურა (არმ. კლასი A500ც), საძირკველში გამოყენებულია ბეტონის მომზადება კლასი- B7.5 და ბეტონი კლასი- B25. წყალშეუღწევადობით W8 წარმოდგენილი საძირკველი გეგმარების მიხედვით შეადგენს ერთ დონეზე და კვეთზე

გათვლილ კონსტრუქციულ სქემას, რაც განპირობებულია საპროექტო გეომეტრიული ფორმებისა და პარამეტრების მიხედვით. შესწავლის საფუძველზე დადგინდა: საძირკვლების გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.
შესაბამისად საძირკვლის კონსტრუქციული გეგმარება და საანგარიშო სქემა თავისი მუშა არმირებითა და ბეტონით წარმოდგენილ რელიეფზე ნაწარმოებია მართებულად.

6. სვეტები (ტუმბოები) - ტუმბოები მონოლითური რკინაბეტონისაა, გაბარიტული ზომებია - 0.5 X 0.5 (მ.), სიმაღლით 1.6 და 2.6 (მ.) მასში არმირებისათვის გამოყენებულია 18 მმ. დიამეტრის 8 ღერი არმატურა, (არმ. კლასი A500ც), ბეტონი კლასი- B25. შესწავლის საფუძველზე დადგინდა: მონოლითური რკინაბეტონის ტუმბოების გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

7. იატაკის ფილა - იატაკის ფილა რკინაბეტონის მონოლითურია. ბეტონის სისქე 15 სანტიმეტრია, მასში არმირებისათვის გამოყენებულია 1 ფენა ბადე-ქსოვით არმატურა დიამეტრით - 8 მმ. (არმ. კლასი A240ც), ბეტონი კლასი- B25. შესწავლის საფუძველზე დადგინდა: მონოლითური რკინაბეტონის ფილის გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

8. შენობის კარკასი - შენობების კარკასი ლითონკონსტრუქციებია. სვეტებად გამოყენებულია ლითონის მილკვადრატები, ზომით - 200 X 200 X 5 მმ. ლითონის კლასი - C235. სვეტები ტუმბოებთან დამაგრებულია ლითონის ანკერებით. ანკერების საბაზისო ლითონის ფურცლების გაბარიტული ზომებია 400 X 400 X 20 მმ. ანკერებისა და ჩასატანებელი დეტალებისათვის მასალად გამოყენებულია ფურცლოვანი და ზოლოვანი ლითონი გოსტი 380-71; 106-57 მიხედვით. შენობის კარკასის გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

9. სახურავი - სახურავი ლითონის შველერებითაა მოწყობილი. (შველერი #22) კლასი - C235. სახურავის გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე სამშენებლოდ გამოყოფილი მოედანი 8 ბალიან ზონაშია. პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა მიეკუთვნება II კლასს.

შენობისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება, მუდმივი საკუთარი წონა, დროებით (300კგძ/მ2), (200კგძ/მ2), თოვლის (50 კგ/მ2), ქარის (145 კგ/მ2) და ჰორიზონტალურ 0.17 გ აჩქარების (1.67 მ/წმ.2) შესაბამის სეისმურ დატვირთვაზე. სეისმო მედეგობის კუთხით, შესაბამისად კონსტრუქციული დაგეგმირება წარმოებულია სწორი პრინციპით და დაცულია სეისმომედეგობის პირობები.

მათემატიკური მოდელირება (გაანგარიშება) განხორციელებულია Lira-САПР 2013 (ვერსია R3) პროგრამული კომპლექსის მეშვეობით, სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. შენობის საანგარიშო მოდელი შედგენილია არქიტექტურული ნახაზების მიხედვით.

ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია გეოლოგიური მონაცემების და კონსტრუქციული სწორი საანგარიშო სქემის მიხედვით, რაც მოცემულია კონსტრუქციულ მუშა ნახაზებში და გათვლებში, შესაბამისად წარმოდგენილი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგენილია და დამუშავებულია სამშენებლო ნორმატივებისა და წესების დაცვით.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია და მასში მოცემული ერთსართულიანი სასაწყობე ტიპის შენობის და დამხმარე შენობის კონსტრუქციული ნახაზები შესრულებულია სამშენებლო ნორმატივების, გეოლოგიური მონაცემების და წესების დაცვით, რომელიც სავსებით დამაკმაყოფილებელია. აქედან გამომდინარე მოცემული დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს დღეისთვის მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

კონსტრუქტორი დ. გვასალია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19131448, 25/11/2019 16:38:28

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მეტრიქს კონსტრაქშენი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	400278338
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	25/11/2019
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის მასივი, VII მიკრო/რაიონი, კორპუსი 1, ბინა 56

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: atoneli@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - დავით გვასალია, 42001005607

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
დავით გვასალია, 42001005607	50%	
მზია როსტომაული, 01001002432	50%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

რ ე ზ ი უ მ ე



სახელი, გვარი:	დავით გვასალია
დაბადების თარიღი:	1964 წელი, 23 ივლისი
დაბადების ადგილი:	საქართველო, ქ. ფოთი
სახლის მისამართი:	თბილისი, გლდანი, VII
ტელ. მობილური:	
ელ-ფოსტა:	neli@yahoo.com
	metrixconstruction.llc@gmail.com
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული

განათლება:	1982-1990	მ.ი. კალინინის სახელობის ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (რუსეთის ფედერაცია) სპეციალობა: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი

სამუშაო გამოცდილება:	1991-1992	ქ. ფოთის გამგეობა. მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების მთ. სპეციალისტი
	1993-1994	ნ. ნიკოლაძის სახელობის ფონდი. სპეციალისტი
	1995-2001	ქ. ფოთის მერიის სახაზინო საწარმო - დირექტორის მოადგილე
	2001-2003	საქართველოს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი. კოლხეთის ეროვნული პარკი (WB; GEF მსოფლიო ბანკისა და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის დაფინანსებული პროექტი). ვიზიტორთა და ეკოლოგიური განათლების სამსახურის უფროსი
	2003-2005	საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (WB; GEF მსოფლიო ბანკისა და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის დაფინანსებული პროექტი). პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი. პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
	2006-2007	საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. მდგრადი პროექტების განმახორციელებელი ჯგუფი (WB; GEF მსოფლიო ბანკისა და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის დაფინანსებული პროექტი). პროექტის კოორდინატორი სამეგრელო, გურიასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
	2008-2009	შპს აპოგეო - აღმასრულებელი დირექტორი
	2010-2012	შპს კავკასიის სამშენებლო კომპანია - კონსტრუქტორი
	2013-2016	შპს AZ-GEORGIA - დიზაინის დეპარტამენტის უფროსი
	2017-2018	შპს MIGU Project - კონსტრუქტორი

	2019-2020	შპს ICMG group - კონსტრუქტორი
	2020	შპს METRIX Construction - დირექტორი

კურსები:	2001	შესყიდვების, ხარჯებისა და ფინანსური მენეჯმენტის კურსები. მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგია. (World Bank) აზერბაიჯანი. ქ. ბაქო
	2002	ჰარბტენიანი ტერიტორიის რესტავრაციის საერთაშორისო კურსები. (Institute for inland Water Management and Waste Water Treatment - RIZA) - შრომის, ტრანსპორტისა და წყლის რესურსების მართვის სამინისტრო - ჰოლანდია, ქ. ლელიშტატი.
	2010	ხის ნაგებობების კარკასული მშენებლობა (კანადური ტექნოლოგია) - მშენებლობის მწარმოებელი USAID-Vocational Education Project in Georgia; Woodservice LTD

თრეინინგი და სემინარები:	2002	ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარება კავკასიის რეგიონში (German Foundation for International Development; World Wildlife Foundation) - საქართველო, გუდაური-ბორჯომი
	2003	ეკოტურიზმი დაცულ ტერიტორიებში (Intrnational Academy for Nature Conservation) - გერმანიის გარემოს დაცვის სამინისტრო - გერმანია, რიუგენი
	2004	შესყიდვები, მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით (World Bank) საქართველო, ქ. თბილისი

სამსახურებრივი მივლინებები:	ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, უზბეკეთი

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:	Office Programs, Corel-Draw, Archi-Cad, Lumion

---

ენების ცოდნა:	რუსული - თავისუფლად ინგლისური - საშუალოდ (მესმის, ვკითხულობ და ვთარგმნი საშუალოდ. ვწერ და ვსაუბრობ-ცუდად)

ჰობი:	სახვითი ხელოვნება, კომპიუტერული გრაფიკა

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, დავით გვასალია, 2003 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას და ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს, ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას.

2010 წლიდან ვარ შპს საქართველოს სამშენებლო კომპანიის, შპს მტ სტუდიოს და შპს აზ-ჯორჯიას კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

* ჩინური კომპანია ჰუალინგის მრავალბინიანი საცხოვრებელი (#17 და 20) სახლები თბილისის ზღვაზე.
* მრავალბინიანი 20 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, აწყურის ქ. #4
* მრავალბინიანი 14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, ვაზისუბანი.
* დაშენების პროექტი მრავალბინიან სახლზე. თბილისი, ჭუჩიშვილის ქ. #18-20
* სასტუმრო კომპლექსი. თბილისი, ჯავახიშვილის #82ა.
* მრავალბინიანი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, გაგარინის ქ. #6
* მრავალბინიანი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, აეროდრომის დასახლება, მე-3 ქ. #4
* მრავალბინიანი 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, აეროდრომის დასახლება, მე-7 ქ. #1
* მრავალბინიანი 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება მაჭავარიანის ქ. #1-ის მიმდებარედ.
* მრავალბინიანი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, არზაყან ემხვარის ქ. მე-2 შესახვევი, #9
* სავაჭრო კომპლექსი, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. #36
* დაშენება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე. თბილისი, ვერა, გოგებაშვილის #3.
* სოლარის საწარმო შენობა (ლითონკონსტრუქციები) თბილისი, ორხევი, ახვლედიანის #3
* სასაწყობე შენობა (ლითონკონსტრუქციები) თბილისი, ღუდუშაურის კლინიკა
* გარე ლიფტების კონსტრუქცია ევროპის უნივერსიტეტის შენობებზე
* საკონდიტრო საწარმო შენობა (ლითონკონსტრუქციები) თბილისი, მაისურაძის ქ. #1
* მრავალფუნქციური შენობა 7 სართულიანი. თბილისი, დოდაშვილის ქ. #37
* სასტუმრო 3 სართულიანი. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. სტეფანწმინდა

* ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრაციული შენობა. ტბილისი, გორგასლის შესახვევი.
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, ყვარლის ქ.
* ბეტონის ქარხნის კონსტრუქცია. ქ. ბათუმი
* სასაწყობე შენობა. თბილისი, ქიზიყის ქ.
* სავაჭრო დანიშნულების შენობა. თბილისი. გლდანი, პირველი კვარტლის მიმდებარედ.
* სასტუმრო სახლი. შინდისი
* სასტუმრო 6 სართულიანი. დაბა მესტია. თამარ მეფის ქ.
* მრავალფუნქციური 6 სართულიანი შენობა. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36
* ტურისტული კომპლექსი (რესტორანი და ვიზიტორთა ცენტრი). დაშბაშის კანიონი. წალკა
* მეცხოველეობის ფერმა. დმანისის რაიონი. სოფ.სარკინეთი
* სავაჭრო, კომერციული დანიშნულების შენობა. თბილისი, ზაჰესი, კოლონიის მიმდებარედ.
* მრავალბინიანი 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, ცინცაძის ქ. #63-ის მიმდებარედ.
* მრავალბინიანი 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისი, სვანეთის ქ.
* მრავალბინიანი 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი. რუსეთის ფედერაცია. ინგუშეთის რესპუბლიკა. ქ. მაგასი.
* 80-მდე ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები და ოფისები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში

ბოლო 1 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაობი:

---

* ექსპერტიზა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე. ქ. თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება.
* ექსპერტიზა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე. ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, საერთაშორისო აკადემიის სასწავლო კორპუსი.
* ექსპერტიზა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე. ქ. თბილისი, გლდანი, პოლიციის აკადემიის მიმდებარედ. გმირი კურსანტების #5

და სხვა.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ:

შპს მეტრიქს კონსტრაქშენის დირექტორი /დავით გვასალია/

განათლების დამადასტურებელი დიპლომი



ДИПЛОМ

ТВ № 567428

Настоящий диплом выдан Трасалия Давиду Зауриевичу в том, что он в 1982 году поступил в Ленинградский политехнический институт им. М.И. Калинина и в 1990 году окончил полный курс названного института по специальности „Промышленное и Гражданское строительство"

Решением Государственной экзаменационной комиссии от „12" февраля 1990 г. Трасалия Д.З. присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М.П. Город Ленинград „12" февраля 1990 г.

Регистрационный № 375/с.

Московская типография

Нагрудный академический знак выдан

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა



